



მონაცემთა ანალიტიკის როლი ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღებაში: ბაზრის მოთხოვნა და პერსპექტივები

Audit | Tax | Advisory
grantthornton.ge



მონაცემთა ანალიტიკის როლი ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღებაში: ბაზრის მოთხოვნა და პერსპექტივები

მონაცემები თანამედროვე ბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე ღირებული აქტივია, რომელიც განსაზღვრავს წარმატებისა და ეფექტურობის ახალ სტანდარტებს. ისინი წარმოდგენილია ციფრებში, ტექსტებში, ვიზუალურ მასალასა ან სხვა ფორმატებში, რომლებიც ასახავს რეალურ ფაქტებს, მოვლენებს და მომხმარებლის ქცევას. მაგრამ, რატომ აქვს მონაცემების ანალიზს გადაწყვეტი მნიშვნელობა ბიზნესისთვის ?

მონაცემთა ანალიზი – ეს არის კომპლექსური პროცესი, რომელიც გარდაქმნის თქვენს ბიზნეს მონაცემებს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებად. სწორად დამუშავებული მონაცემები კომპანიისთვის ხდება შემოსავლების ზრდის, პროცესების ოპტიმიზაციის და ინოვაციების გაძლიერების გარანტი. ეს პროცესები აერთიანებს მონაცემების სტრუქტურირებას, ღრმა ანალიზს და ინსაიტების მიღებას, რაც ბიზნესს ეხმარება სირთულეების გადაჭრაში და ბაზრის ახალ შესაძლებლობებზე ორიენტირებაში.

წარმოიდგინეთ მონაცემები, როგორც თქვენი კომპანიის სტრატეგიული რუკა, ხოლო მათი სწორი ანალიზი – ის გასაღები, რომელიც თქვენს ბიზნესს ახალი შესაძლებლობების კარებს უღებს. მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები არა მხოლოდ ამცირებს რისკებს და ოპერაციულ ხარჯებს, არამედ ქმნის მდგრად კონკურენტულ უპირატესობას.

დღევანდელ ბიზნეს გარემოში მონაცემთა ანალიტიკა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინსტრუმენტად იქცა, რომელიც ეხმარება კომპანიებს, მიიღონ უფრო გააზრებული და სტრატეგიული გადაწყვეტილებები. ბაზრის მოთხოვნა მონაცემთა ანალიტიკის სპეციალისტებზე მკვეთრად იზრდება, რადგან სხვადასხვა სექტორში, როგორცაა საბანკო, სარესტორნო და საცალო ვაჭრობის ინდუსტრია, კომპანიებს სჭირდებათ მომხმარებელთა ქცევის უკეთ გაგება და ოპერაციების ოპტიმიზაცია.

მონაცემთა ანალიტიკა ეხმარება ბიზნესებს კონკურენციის პირობებში, გააუმჯობესონ მომხმარებელთან კომუნიკაცია, მათზე მორგებული შეთავაზებები და პროდუქტები შექმნან ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად. პროგნოზული ანალიზი (Predictive Analytics) და ხელოვნური ინტელექტი უფრო მეტ ღირებულებას მატებს მონაცემთა ანალიტიკას, რაც კომპანიებს საშუალებას აძლევს წინასწარ განჭვრიტონ რისკები, იპოვონ ახალი შესაძლებლობები და გაითვალისწინონ ბაზრის ტენდენციები.

გრანთ თორნთონის მსგავსად, საკონსულტაციო კომპანიები უკვე აქტიურად იყენებენ მონაცემთა ანალიტიკას, რათა კლიენტებს შესთავაზონ ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებული მეთოდები. მონაცემთა ანალიზის შედეგების ვიზუალიზაცია და ინტერპრეტაცია ასევე მნიშვნელოვანია, რადგან ის ამარტივებს და აძლიერებს ბიზნესისთვის საჭირო ინფორმაციის გამოყენებას და კომუნიკაციას. გრანთ თორნთონმა მრავალ ინდუსტრიაში განახორციელა წარმატებული პროექტები, რომლებიც აძლიერებს კლიენტების კონკურენტულ უპირატესობას და აუმჯობესებს ბიზნეს ოპერაციებს.

1. ბაზრის მოთხოვნა და მონაცემთა ანალიტიკის სპეციალისტების საჭიროება

დღეს მონაცემთა ანალიტიკის სპეციალისტები ბიზნესისთვის ისეთივე საჭირო გახდა, როგორც ფინანსური მენეჯერები. მაგალითისთვის, დიდ ფინანსურ კომპანიებში, როგორცაა JPMorgan Chase ან HSBC, მონაცემთა ანალიტიკოსები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რისკების მართვაში და ინვესტიციების მიმართულებით გადაწყვეტილებების მიღებაში. მონაცემთა მეცნიერების გამოყენებით, ეს კომპანიები ახერხებენ ზუსტად გამოთვალონ რისკები და წინასწარ განსაზღვრონ, რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ბაზრის ცვლილებებს მათზე. გრანთ თორნთონში ჩვენ ვამაყობთ მონაცემთა ანალიტიკის მრავალფეროვანი სერვისებით, რისი მეშვეობითაც ვეხმარებით კომპანიებს, როგორცაა დიდი ფინანსური ინსტიტუტები თუ საცალო ვაჭრობის ქსელები, რისკების მინიმიზაციასა და სტრატეგიული განვითარების პროცესში.

მოთხოვნის ზრდა აშკარად ჩანს სტატისტიკაშიც: PwC-ის კვლევის მიხედვით, 2022 წელს ბიზნესების 70%-მა განაცხადა, რომ ისინი ზრდიან ინვესტიციას ანალიტიკურ რესურსებში, რადგან ხედავენ, რომ ინფორმაცია მათ კონკურენტულ უპირატესობას აძლევს. **IDC-ის პროგნოზით, 2025 წლისთვის მონაცემთა ანალიტიკის გლობალური ბაზრის ღირებულება 274 მილიარდ დოლარს გადააჭარბებს –** რას მიაწინებს ეს ციფრები? მომავლის ეკონომიკური სიძლიერე აშკარად მონაცემთა ანალიზზე დაფუძნებული იქნება. გრანთ თორნთონის ქსელის მიერ განხორციელებული პროექტები მოიცავს მონაცემთა ანალიტიკის მხარდაჭერას ფინანსურ სექტორში, სადაც ჩვენ დავწერეთ რისკების მართვის მექანიზმები მონაცემთა მეცნიერების საფუძველზე. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი იყო საბანკო სექტორისთვის მოდელის შემუშავება, რომელიც ეხმარება ბანკებს რისკების შეფასებასა და მომხმარებელთა ქცევის პროგნოზირებაში, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ფინანსურ მდგრადობას და სამომავლო განვითარებას.

2. მომხმარებელთა ქცევის ანალიზი – როგორ იძლევა მონაცემთა ანალიტიკა სიღრმისეულ მიგნებებს?

მონაცემთა ანალიტიკა კომპანიისთვის მომხმარებელთა ქცევის, ჩვევების და მოლოდინების გაგების ღრმა შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად, ცნობილმა საცალო ვაჭრობის ქსელმა, Walmart-მა, ანალიზის დახმარებით გაარკვია, რომ შტორმების პერიოდში მომხმარებლები ინტენსიურად ყიდულობდნენ ისეთი პროდუქტებს, როგორცაა ფუნთუშები და ბატარეები. Walmart-მა ეს მონაცემები გამოიყენა და შტორმების მოლოდინში ეს პროდუქტები მეტად ხელმისაწვდომი გახადა, რამაც მათ გაყიდვებში მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია.

მონაცემთა ანალიზი მომხმარებლის მოთხოვნების და სერვისის დახვეწისთვის შეუცვლელია სარესტორნო სექტორშიც. მაგალითისთვის, McDonald's-მა მომხმარებლის ჩვევების ანალიზით პიკის საათებში დანერგა სწრაფი სერვისის მოდელი, რაც ზრდის მომხმარებლის კმაყოფილებას და კომპანიის გაყიდვებს აუმჯობესებს. ამასთან, **Harvard Business Review-ის კვლევამ აჩვენა, რომ კომპანიების 48% მონაცემთა ანალიზის მეშვეობით ახდენს მომხმარებელთა სეგმენტაციას** და პირადი შეთავაზებების შექმნას, რაც ზრდის მათ კმაყოფილ და მუდმივ მომხმარებელის რაოდენობას.

გრანთ თორნთონის ქსელის გამოცდილება ასევე მოიცავს მონაცემთა ანალიზის პროექტებს საცალო ვაჭრობის და სარესტორნო სექტორებისთვის, სადაც მომხმარებელთა ქცევის კვლევამ მნიშვნელოვანი შედეგები აჩვენა. მაგალითად, სარესტორნო სექტორში გრანთ თორნთონმა დავენერა

სწრაფი მომსახურების მოდელები, რომელიც ეხმარება კლიენტებს პიკის საათებში მომსახურების ოპტიმიზაციაში და მომხმარებელთა კმაყოფილების გაზრდაში. მსგავსი მიდგომებით კლიენტებს ვაძლევთ შესაძლებლობას წინასწარ განსაზღვრონ, რა პროდუქტები შეიძლება იყოს პოპულარული, რათა ოპტიმალურად განავითარონ მარაგების მართვა და მომსახურების შეთავაზება.

3. ინოვაცია და კონკურენტული უპირატესობა – როგორ ეხმარება მონაცემთა ანალიზი კომპანიებს დაიმკვიდრონ უნიკალური პოზიცია ბაზარზე?

მონაცემთა ანალიზს აქტიურად იყენებს საბანკო სექტორი თიბისი ბანკი და საქართველოს ბანკი აქტიურად იყენებენ მონაცემთა ანალიზს მომხმარებლებისთვის პერსონალიზებული ფინანსური სერვისების შესათავაზებლად. თიბისი ბანკი მომხმარებლებს სთავაზობს ციფრულ პლატფორმებს, რომლებიც მონაცემთა ანალიზის საფუძველზე უზრუნველყოფს პერსონალიზებულ ფინანსურ რეკომენდაციებსა და სერვისებს. საქართველოს ბანკმა კი ბიზნეს კლიენტებისთვის შექმნა ფინანსური მენეჯერის მოდული, რომელიც ეხმარება კომპანიებს მარტივად მართონ ფინანსები და მიიღონ მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები. ამგვარი ინიციატივები ბანკებს საშუალებას აძლევს გააუმჯობესონ მომხმარებელთა გამოცდილება და მოიპოვონ კონკურენტული უპირატესობა ბაზარზე.

აღნიშნულის მსგავსად, მონაცემთა ანალიტიკას მრავალმხრივ იყენებს Veli.store, რათა გააუმჯობესოს მომხმარებლის გამოცდილება და საოპერაციო პროცესები. კომპანია იყენებს AI სიმულაციებს, რათა წინასწარ განსაზღვროს შეკვეთების რაოდენობა და მოხდინოს რესურსების მობილიზაცია, რაც უზრუნველყოფს მიწოდების სისწრაფესა და ხარისხს. ასევე, მანძილის ოპტიმიზაციის ალგორითმების მეშვეობით საწყობის თანამშრომლები ამცირებენ გადაადგილების დროს, რაც აჩქარებს შეკვეთების დამუშავებას. გარდა ამისა, Veli.store იყენებს ხარვეზების პრევენციის AI სისტემას, რომელიც ავტომატურად ასწორებს მომხმარებლის მიერ შეყვანილ არასწორ მონაცემებს, რაც ამცირებს შეცდომების რისკს და აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

მონაცემების ანალიზით მიღებული მსგავსი გადაწყვეტილებები მნიშვნელოვნად ცვლის ბიზნესის მიმართულებას და ზრდის კონკურენტულ უპირატესობას. რა იქნება შემდეგი? ბაზრის ტენდენციები მკაფიოდ მიაჩვენებს, რომ მომავალში კონკურენტული უპირატესობები კვლავ მონაცემების ანალიზით იქნება განსაზღვრული.

გრანტ თორნთონის ქსელის ერთ-ერთი წამყვანი პროექტი საბანკო სექტორში კომპანიებისთვის მოიცავდა ინოვაციური ანალიტიკური გადაწყვეტილებების შემუშავებას, რომლებიც კომპანიებს საშუალებას აძლევდა გაეუმჯობესებინათ სესხების მართვის პროცესი და რისკების მართვის მექანიზმები. ამისთვის ვიყენებთ ისეთ თანამედროვე ინსტრუმენტებს, როგორცაა Predictive Analytics და ხელოვნური ინტელექტი, რაც ეხმარება ბანკებს შექმნან პერსონალიზებული პროდუქტები მომხმარებლის მოთხოვნებზე მორგებული ფინანსური რეკომენდაციების სახით.

გარდა ამისა, ჩვენი პარტნიორობა ბაზარზე წამყვან ტექნოლოგიურ პლატფორმებთან, როგორცაა Microsoft Azure, Tableau და Salesforce საშუალებას აძლევს გრანტ თორნთონს უზრუნველყოს მაღალი ხარისხის მონაცემთა ანალიტიკური ვიზუალიზაცია. ამ ინსტრუმენტების დახმარებით ჩვენი კლიენტები იღებენ ზუსტ ინფორმაციას, რომელიც ამარტივებს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას.

მონაცემთა ანალიტიკა არა მხოლოდ თანამედროვე ბიზნესისთვის საჭირო უნარია, არამედ მომავალი ეკონომიკის საფუძველია. ბაზრის მოთხოვნა და კომპანიის რესურსების მონაცემთა ანალიზისადმი ინვესტირების მზარდი ტენდენციები მიაჩვენებს, რომ ამ სფეროს პროფესიონალებს დიდი შესაძლებლობები ელოდებათ. ყოველწლიურად მონაცემთა ანალიზის ინსტრუმენტების განვითარება და მათი ეფექტიანობა ბიზნესებს ახალ დონეზე აყენებს, რაც მათ საშუალებას აძლევს გააძლიერონ კონკურენტული უპირატესობა, გააუმჯობესონ მომხმარებელთან კომუნიკაცია და დაარეგულირონ ბაზრის მოთხოვნები.

გრანტ თორნთონს საქართველო აქტიურად იყენებს მონაცემთა ანალიზს, იმისათვის რომ კლიენტებს შესთავაზოს ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო ღირებული ინფორმაცია და მიგნებები. ჩვენი პროექტები მომხმარებელთა ქცევის ანალიზში, რისკების მართვაში და პერსონალიზებულ შეთავაზებებში ეხმარება კომპანიებს გააძლიერონ და გაზარდონ კონკურენტული უპირატესობა ბაზარზე. მონაცემთა ანალიტიკის გაძლიერება და ინსტრუმენტების ეფექტიანი გამოყენება განაპირობებს ბიზნესების წარმატებას, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს გამოიყენონ მონაცემთა ძალა მომავლის გამოწვევებთან გასამკლავებლად.

საბა დუმბაძე: ბიზნეს საკონსულტაციო დეპარტამენტი, უფროსი მონაცემთა ანალიტიკოსი.